EFP
კავშირი პირის ღრუს სიჯანსაღესა
და ორსულობას შორის
გაიდლაინი
სტომატოლოგებისათვის
პირის ღრუ
და ორსულობა
Oral-B

Oral Health
& Pregnancy

რეკომენდაციები სტომატოლოგებს

ორსულობა ქალის ცხოვრებაში ის უმნიშვნელოვანესი პერიოდია, რომელიც განსაკუთრებულ ცვლილებებს იწვევს მთელ ორგანიზმში. ჰორმონალური დისბალანსი და მთელი რიგი ფიზიოლოგიური ცვლილებები გავლენას ახდენს პირის ღრუს ჯანმრთელობაზე და ხშირ შემთხვევაში თავს იჩენს ანთებითი დაავადებები

გამოვლენა=

შვილოსნობის ასაკის, ქალი პაციენტების ანამნეზის შეკრებისას მნიშვნელოვანია გამოიკითხოს, ხომ არ არის ის ორსულად, ან ხომ არ გეგმავს ახლო მომავალში. სასურველია,შეგროვდეს ინფორმაცია, წინა ორსულობების მიმდინარეობის შესახებ, ხომ არ ჰქონია, ორსულობისას რაიმე გართულება, (არსებობის შემთხვევაში, რომელი? იტარებდა თუ არა პირის ღრუს პროფესიონალურ ჰიგიენას ორსულობისას? ჰქონია თუ არა ორსულობამდე ღრძილების დაავადება და ჩაიტარა თუ არა სრულფასოვანი მკურნალობა ?

თუ პაციენტი ორსულია

სტომატოლოგმა,{პარადონტოლოგმა} უნდა:

1. დააზუსტოს ორსულობის გესტაციური ვადა
2. წინა ორსულობის არსებობის შემთხვევაში, გამოიკითხოს ორსულობის ნებისმიერი გართულების შესახებ.: ჰიპერტენზია, კარდიოვასკ.დაავადება, დიაბეტი
3. დაადგინოს მწევლობის სტატუსი
4. უნდა ჩატარდეს სრული პარადონტოლოგიური კვლევა , ქვების აკუმულაციის ხარისხის, ანთების სტატუსის განსაზღვრით (სისხლდენა,ზონდირება).

ამის შემდეგ დაისმება დიაგნოზი: ჯანმრთელი, გინგივიტი ან პარადონტიტი და

შეირჩევა ადექვატური მკურნალობის მეთოდი, შედგება მკურნალობის გეგმა.

ჯანმრთელი პარადონტი

ორსულს ჯანმრთელი პარადონტით, უნდა უტარდებოდეს პირის ღრუს ჰიგიენის გაკვეთილი ეძლევა ინსტრუქცია სახლის ჰიგიენის დაცვის საშუალებების და მათი გამოყენების თაობაზე და ეძლევა რეკომენდაცია დისპანსერიზაციის ვადის თაობაზე, თუ რა დროში და რა სიხშირით ჩაიტაროს პროფესიული ჰიგიენური წმენდა.
ის აუცილებლად, ინფორმირებული უნდა იყოს ჰიგიენური ნორმების უგულებელყოფის შემთხვევაში, მოსალოდნელი გართულებების შესახებ

გინგივიტი

ორსულს,გინივიტის დიაგნოზით, ეზლევა ისეთივე, რეკომენდაციები როგორიც ჯანმრთელს.გასათვალისწინებელია, რომ ეს მდგომარეობა ნარჩუნდება მთელი ორსულობა პრევენციული,სადიაგნოსტიკო და თერაპიული ღონისძიებები არის ერთი და იგივე პროფესიული ჰიგიენური წმენდის მთავარი მიზანი,ასეთ დროს არის ნადების კონტროლი ბიოპაკის მოცილება და ასეთი მდგომარეობის მაქსიმალურად დიდხანს შენარჩუნება